საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3919-02
18/12/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოს წევრობის კანდიდატთა(აკადემიური პერსონალი) არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე, რექტორის 10 დეკემბრის N3818-02 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლიდან** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(აკადემიური პერსონალი) კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 20 დეკემბერს, 14:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის:ქ.ჩოლოყაშვილის 3/5, უნივერსიტეტის E კორპუსი, ოთახი E303);
2. არჩევნებში მონაწილეობს ბიზნესის სკოლის ყველა აკადემიური პერსონალი.
3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალისათვის;
4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ბიზნესის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი